# სახალხო გაზეთი

№ 929 ხუთშაბათი, 27 ივნისი 1913 წ. № 929

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

**განცხადებანი** იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

**გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.**

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა



**სახალხო გაზეთი**

**ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით**

პირველ მკათათვიდან წლის ლამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს **4 მ. 50 კ.**

**თვეში ღირს 75 კაპ.**

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

**მისამართი:** Тифлисъ, „Сахалхо газети" Почт. ящ. 190.



**მელანია ზაალის ასული გრიგოლაშვილისა და შვილი მისი, ნიკო გიორგის ძე გრიგოლაშვილი** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 30 ივნისს, კვირას, სოფ. გრიგოლაანთ-კარში (დუშეთ. მაზ.) საგვარეულო სასაფლაოზე გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი პირველის მეუღლისა და მეორის მამისა განსვენებულის

გიორგი **ნიკოლოზის ძის** გრიგოლაშვილის

სულის მოსახსენებლად. 390





**პირველ-ხარისხოვანი**

## დიდი ცირკი

### ძმ. ესიკოვსკებისა

მიხეილის პროსპექტ., მუშტაიდის შესავალთან, ნ. კუნდუხოვის ადგილზე, საკუთარი საზაფხულო გრილი სადგომი, ტრამვაი იქვე ჩერდება და შინ დაბრუნებისასაც მუშაობს.

მხოლოდ ძმ. ესიკოვსკების ცირკს შეუძლიან ამის ჩვენება, რაც სხვებს არას დროს არ შეეძლებათ!

**დღეს, 27 ივნისს, 1913 წ. გაიმართება**

არაჩვეულებრივი წარმოდგენა მთელი დასის მონაწილეობით. დღეს ყველაფერი ახალია; ახალი დებიუტები. გამოსვლა გამოჩენილ მოჯირითე ბულგარელი ქალის **თამარასი,** ტფილისელთა საყვარელისა. გამოსვლა მოხდება $10^1/_2$ საათისათვის. ჯირითის შემდეგ იცეკვებს ლეკურს. გამოსვლა ახლად გამოგონილ ასაფეთქებელ ავტომობილით პოპულიარულ მუსიკოს-ექსცენტრიკების **ძმ. ბროკარსებისა.** გამოსვლა გამოჩენილ იტალიელ ჯამბაზებისა, რომელნიც „ელყაკაცად" არიან წოდებულნი და გააკეთებენ სეტყვისებურ სალტომორტალეს **ძმ. დელი-კაზები.** გამოსვლა ტფილისელთა საყვარელის ბუფ-კომიკების **ძმ. ვინჩენცოებისა.** განზრახულია მაღალი კაცის გასტროლი სიმაღლით 6 არშინი არის **ბ. დუმუნტინი,** წოდებული „ყაზბეგის მთად".

**დასაწყ. საღ. 8 ს.** დირექცია **ძმ. ესიკოვსკები.**

388 გამგე **ლ. მ. ხუნდაძე.**



## ექ. ვ. დ. ლამბაშიძის

### სანატორიუმი და საზაფხულო სამყოფი

## პაპარა-ცემი

**გაიხსნება 15 თიბათვეს—31 მარიამობისთვემდე.**

**მისამართი ფოსტით:** ტფილისი, ექ. ვ. დ. ლამბაშიძეს. 299



## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან.**

**ქსნიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლოთ.**

**ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | **მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. <br> **მალალაშვილი გ. გ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. <br> **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12—1 ს. <br> **ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. <br> **ექ.-ქალ. ენგელ მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** სამ., ხუთ., შაბ. 11—12 |
| ქირურგ. სნეულებანი. | **მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტაცია ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$. <br> **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. <br> **ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და ს. მშობ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. <br> **თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. <br> **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1. <br> **სულაკოვი ა. ი.** ყოველ დღე 2—... |
| ბავშვთა სნეულ. | **ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. —1 <br> **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე $12^1/_2$—1. <br> **ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1. |
| ნერვიულ. სნეულებ. და ელექ. | **გედევანიშვილი. მ. ა.** შაბათობით ... — 1. <br> **ჯავახიშვილი ნ. ნ.** ოთხშაბ., პარას. და კვირას 11—12 <br> **ფონდოევი გ. ს.** ყოველ დღე 1—2 |
| ყელ. ყურის და ცხვირ. | **ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე $12^1/_2$—$1^1/_2$. <br> **ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე $1^1/_2$—2. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—$2^1/_2$. |
| კან. და ვენერ. ავ. | **დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606" და „914" წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა, შეღავათიანი საფასურით. წ. 1035



## ახალი კლუბი

**(საზაფხულო თეატრი)**

**ხუთშაბათს, 26 ივნისს,** ქართულ დრამ. საზ. დასის მსახიობთა მიერ, ვ სო აბაშიძის მონაწილეობით, წარმოდგენილი იქნება:

## ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ.

მხიარული კომ. 2 მოქმ. რ. ერისთავისა.

მონაწილეობენ ქ-ნნი: ვიქტორელი, ჯავახიშვილისა და ბ-ნნი ვ. აბაშიძე, გუნია, მგალობლიშვილი და ვ. ... ერიშვილი ✦ დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

**თეატრის დარბაზში შესვლა წარმოდგენაზე უფასოა** წარმოდგენის შემდეგ ცეკვა. დაუკრავს სამხედრო ორკესტრი. 1358



**გამოვიდა და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში**

**ახალი სალიტერატურო—სამეცნიერო—კრებული**

## ვეფხვინი

**ფასი ერთი მანეთი**

1. შოთა რუსთაველი, გრ. რობაქიძისა.
2. სუმერული და ქართული, მ. წერეთლისა.
3. ოიდიპოს მეფე, თარგმ. ბერძნულით ვ. ქავთარაძისა.
4. მეფე-მგოსანი, სანდრო შანშიაშვილისა.
5. ღამე, ს. ფირცხალავასი.
6. გლოვის ზარი, მისივე. 1371



## ბროლის ღიმილი

### ი. გრიშაშვილისა

1359



**კვირას, 30 ივნისს, თავად-აზნაურთა დეპუტატების საკრებულოში** (ბელინსკის ქ. № 2), დანიშნულია

„საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების" წევრთა

## წლიური კრება

**კრების საგნებია:**

1. ე. თაყაიშვილის მოხსენება: „ბორჩალოს მაზრის ქართული ნაშთები და მათი წარწერანი".
2. საზოგადოების მოქმედებისა და შემოსავალ-გასავლის წლიური ანგარიშები 1911-ისა და 1912 წლისა; აგრეთვე სარევიზიო კომისიის აქტი.
3. სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა 1913 წლისათვის.
4. „საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა" და „წერა-კითხვის საზოგადოების" მუზეუმ-ბიბლიოთეკათა შეერთების საკითხი.
5. ვაკის მამულის (1 დესეტინა) გაყიდვის საკითხი.
6. საბჭოს წევრების, მათი კანდიდატების, სარევიზიო კომისიის წევრთა და საზოგადოების ახალ (საპატიო და ნამდვილ) წევრთა არჩევანი.

კრება დაიწყება დილის 10 საათზე. დასწრება გარეშეთაც შეუძლიათ.

მდივანი **ს. გორგაძე.** 389



## საბურთალოზე

**მშვენიერ ალაგას**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1220



**ექიმი ივ. გომართელი** პირველი ივნისიდან პირველ ენკენისთვემდე ავადმყოფებს მიიღებს **ბორჯომში.** აგარაკი მირზოევისა. 307.



**ექიმი შ. ა. მიქელაძე.** 15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117 ტელეფონი 816.



**ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი** **ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.** იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 324.



**ექიმი ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **გახსერმანის რეაქციით** იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიიღება ნაშუადღ. 3—$5^1/_2$ ს. **ელიზაბედ.** ქ. № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102



## ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. გაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ. $9^1/_2$ ს. 10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—$11^1/_2$ ს.

**ბ. ა. პოპოვი.** ყოვ. დღე, კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—$11^1/_2$ ს.

**ექ. ქალი იოსელიანისა**—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—$11^1/_2$ ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**ვ. ვ. კლდიაშვილი.** ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

**წამლობა „606"-ით** 1035



**დოქტორი მედიცინისა**

## გ. ა. ახვერდოვი,

**პეტერბურგის** სიფილისისა და ვენერიულ ავადმყოფობათა კლინიკის ყოფილი ორდინატორი, იღებს საშარდის, ვენერიულისა და სიფილისიან ავადმყ. დილ. 12—1 ს., საღ. 6—8 ს. **ხემიონოვის ქ.,** № 18, (ვორონცოვის ძეგლის მახლობ.), ექიმ. ბინა—ხემიონ. ქ., № 16. 1159


## სახელმწიფო სათათბირო

(დეპეშ. პეტ. სააგენტოსაგან)

**25 ივნისი**

ხალხის დაუსწრებლად მიღებულია უკამათოდ კანონ-პროექტი: ორთქლმავალთა საჭიროების შესახებ, სამხედრო დროს საკომერციო საქონლის გადატანისათვის, კანონ-პროექტს შესახებ ახალ ნაპერწლის სადგურების დაარსებისა და შტატის გაძლიერებისა, ახლად შესადგენ და გადასაკეთებელ საინჟინრო საწყობების შესანახ თანხისა, ამიერ კავკასიაში სტრატეგიულ გზების მოწყობისა. ხალხის დასწრებით კრებაზე გამოცხადებულია შემოტანილ საქმეთა სია, მათ შორის არის დეპ. იანოვსკის განცხადება, რომ იგი თავს ანებებს წევრობას. უკამათოდ მიღებულია 46 კანონ-პროექტი, მათ შორის შესახებ: ურგაში არსებულ საელჩოს მანგოლიის საგენერლო საელჩოდ გადაკეთებისა; მაროკოში არსებულ მისიის სადიპლომატო საagენტო და საგენერალო საელჩოდ გადაკეთებისა; უარყოფილია 97 ხმის უმეტესობით 51 წინააღმდეგ საჩქაროდ განხილვა ს.-დ. შემოტანილი შეკითხვისა, ესტლიანდიის გუბერნატორის შესახებ.

**მილიუტინი** კითხულობს მოხსენებას შესახებ მოსკოვის საინჟინრო სასწავლებლის გზათა საინჟინრო ინსტიტუტად გადაკეთებისა.

**ნოვიკოვი** კადეტების სახელით მოითხოვს რომ კანონ-პროექტიდან ამოშლილი იყოს: ურიები ინსტიტუტში არ მიიღებაო.

**ბომანი, შინგარევი და ტრტოვი** პროტესტს აცხადებენ ურიების უფლების შეზღუდვის გამო.

**მარკოვი მე-2.** მხარს უჭერს უფლების შეზღუდვას.

კ.-დ. შესწორება უარყოფილია 110 ხმის უმეტესობით 50 წინააღმდეგ.

**დერიუგინი** მოხსენებას კითხულობს შესახებ ტობოლის, ტომსკის, ირკუტსკის, ენისეისკის გუბერნ. და ალტაის ოლქში სამი წლით სალალო გადასახადის რაოდენობის შესახებ. მოითხოვს კანონ-პროექტის საჩქაროდ განხილვას. კინჭისყრის დროს კანონიერი რიცხვი წევრებისა არ იყო.

კრება შესწყდა. კრების განახლების შემდეგ **როძიანკო** თავმჯდომარეობს. კანონ-პროექტის საჩქაროდ განხილვა მიღებულია.

**მანკოვი.** ფინანსთა სამინისტროს აღრიცხვა დაუსაბუთებელია, კარგად ვერ არის გამოანგარიშებული, გლეხების შემოსავლიანობა გადამეტებულად არის ნაჩვენები. რადგანაც ირკუტსკის გუბ. გლეხობა ღარიბია მოითხოვს გადასახადის შემცირებას.

შემოტანილია წინადადება კამათის მოსპობისა. წინააღმდეგნი არიან **ნეკრასოვი** და **ძზუბინსკი:** ეს კანონ-პროექტი ეხება მთელ დასავლეთ ციმბირის გლეხობას. მდგომარეობის ნათლად გაშუქებისათვის ციმბირელ დეპუტატებს ჰსურთ ილაპარაკონ. კამათის მოსპობის წინადადება მიღებულია. კანონიერი რიცხვი წევრებისა კიდევ არ არის. კრება შესწყდა. კრების განახლების შემდეგ ერთხმად დაადგინეს, კანონ-პროექტი მოიხსნას რიგიდან. თავმჯდომარე მოიწოდებს სათათბიროს ფეხზე ადგომით მოისმინოს უმაღლესი ბრძანება. თავმჯდომარის ამხანაგი კითხულობს ბრძანებას: „ბრძანება უმართებულეს სენატს. ძირითად სახელმწიფო კანონების 99 მუხლის ძალით ვბრძანებთ სახელმწიფო სათათბიროს მუშაობა შესწყდეს ამ წლის 25 ივნისიდან. მუშაობის განახლების დროთ ვნიშნავ 1913 წლის 15 ოქტომბერს. უმართებულესი სენატი არ დააყოვნებს ამის აღსასრულებლად განკარგულების მოხდენას". დედანზე მის უდიდებულესობის ხელით არის მოწერილი: **ნიკოლოზ.** თავმჯდომარემ „ვაშა" უძღვნა მეფეს. გაისმოდა დიდხანს წევრების „ვაშას" ძახილით.

კრება დაიხურა.

## სახელმწიფო საბჭო

**აკიმოვი** თავმჯდომარეობს.

განსახილველია საფინანსო კომისიის მოხსენება შესახებ მოსკოვ-კიევ-ვორონეჟის რკინის გზის გამოყიდვისა.

მომხსენებელი **პეტროვი** განმარტავს საკითხს და ამბობს, რომ ხაზინა გამოყიდვასთან ერთად მიიღებს 1 ნახ. მილიონს. თუ გზა ისევ საზოგადოებას დარჩა, იგი პირობას იძლევა გაიყვანოს გზა 100 ვერსის სიგრძეზე იმ მიდამოში, სადაც რკინის გზა ნაკლებადაა, ვიდრე რუსეთის ცენტრში. ეს უფრო მეტ სარგებლობას მოუტანს სახელმწიფოს, ვიდრე გამოყიდვა. ამიტომ კომისია წინადადებას იძლევა კანონ-პროექტი უარჰყონ.

მინისტრთა საბჭოს **თავმჯდომარე** ლაპარაკობს იმის შესახებ, აქვს თუ არა მთავრობას უფლება გამოიყიდოს კიევ-ვორონეჟის გზა ახლა; არ უარჰყოფს და აღნიშნავს, რომ ეს არ არის უმთავრესი საკითხი, ამას არ უნდა ჰქონდეს ადგილი გამოყიდვის საკითხში. კიდეც რომ სცნოთ, რომ შეიძლება გამოყიდვა იმ პირობებით, როგორიც სათათბირომ გადასწყვიტა, რაც საეჭვოა, მაინც გამოყიდვა უდროოც იქნება და წასაგებიც. ფინანსთა მინისტრს ბრალს სდებენ იმაში, რომ გადასახადთა შემოკრებას უფრო მეტ ყურადღებას აძლევს ვიდრე სახალხო მეურნეობას. მაგრამ ამ გზის გამოყიდვას არ აქვს მნიშვნელობა არც გადასახადთა შემოკრების არც სასალხო მეურნეობის მხრივ. საზოგადოება გადაიხდის 35 მილიონს და მაშინვე გზის შესაკეთებლად უნდა დაიხარჯოს 30 მილიონი. შემდეგ, რადგანად ეს მხარე საჭიროებს რკინის გზებში, უნდა გაყვანილ იქნეს რკინის გზა 900 ვერსის მანძილზე, რაც 65 მილიონი დაუჯდება მთავრობას. მაშასადამე მთავრობას ეს გზა დაუჯდება 130 მილიონი. სად არის აქ გადასახადთა შემოკრება, მოგებიანობის სურვილით გატაცება? შემდეგ მინისტრი შეეხო სახალხო მეურნეობას და ამბობს, რომ საბჭომ სურვილი გამოსთქვა მთავრობამ ხელი შეუწყოს კერძო რკინის გზების განვითარებასო. როგორ შეუერთდეს კიევ-ვორონეჟის გზის გამოყიდვას? ხაზინას არ შეუძლიან ყველა გზა მან გაიყვანოს, რადგანაც სახელმწიფოს დანიშნულება განუსაზღვრელია. გუშინ სათათბირომ დაამტკიცა ხარჯი 122 მილიონისა, მაგრამ ეს ნაწილია იმ ხარჯისა, რომელიც მოგველის. მინისტრი მოიგონებს იმ შემთხვევას, როდესაც მთავრობამ ძოინდომა დასავლეთ-სამხრეთის რკინის გზის გამოყიდვა. მაშინ საზოგადოებამ მთავრობას სთხოვა, გვადროვე და 200 ვერსის მანძილზე გზას გავიყვანთო, მაგრამ ხაზინამ გზა გამოისყიდა და აგერ 15 წელიწადია მასაქეთ, მაგრამ გზები ვერ გაიყვანა. შემდეგ პრემიერი აღნიშნავს, რომ გზის გამოყიდვა უსარგებლო იქნება სახელმწიფოსათვის და ამიტომ მთავრობის სახელით მოითხოვს კანონ-პროექტის უარყოფას.

**ნარიშკინი.** საკითხი სულ სხვანაირად ირკვევა ეხლა და ამიტომ საჭიროა კანონ-პროექტი ისევ კომისიას დაუბრუნდეს გამოსარკვევად.

**კოკოვცევი:** უპასუხებს ნარიშკინს. არავითარი სხვანაირი გარკვევა არ არის ამ შემთხვევაში, რადგანაც ყოველფერი ეს კომისიაშიც ნათქვამია. საქმე ძალიან საჩქაროა, უნდა ეხლავე განხილულ იქნეს. არ შეიძლება საკითხი ჰაერში დაკიდებული დავტოვოთ. ამ საკითხის გარშემო განსაკუთრებული ატმოსფერა დატრიალდა. აგიტაციას ეწევიან. უნდა ბოლო მოეღოს ამას. საქმის გადადება სასურველი არ არის. არცერთ წარმოებას არ შეუძლიან ისულდგმულოს დომოკლეს მახვილქვეშ. არ შეიძლება ასეთ მდგომარეობაში დავსტოვოთ კერძო საზოგადოება. მინისტრი საბუთს ვერ ხედავს საკითხის გადადებისათვის.

**კარპოვი:** საჭიროა კანონ-პროექტი კომისიას დაუბრუნდეს, რადგანაც დაგზავნილი საბუთები შესაფერის ცნობას ვერ იძლევა. საქმე საერთო ყურადღებას იპყრობს. საკითხი სათათბირომ წამოაყენა და მთელმა სათათბირომ, გარდა ერთი კაცისა, ყველამ გამოყიდვა ისურვა. საჭიროა იურიდიულის მხრივ გაშუქებული იქნეს საკითხი.

**შებეკო** უპასუხებს კარპოვს. საკითხი გამორკვეულად მიაჩნია და

მოითხოვს კანონ-პროექტის უარყოფას. ნარიშკინის წინადადება უარყოფილია დიდი უმრავლესობის უმეტესობით. კრება შესწყდა. კრების განახლების შემდეგ ვასილიევი, საბჭოს წევრთა იმ ჯგუფის სახელით, რომელსაც იგი ეკუთნის, აცხადებს: პრინციპიალურად მომხრენი ვართ იმისა, რომ სახელმწიფომ გამოიყიდოს რაც შეიძლება მეტი რკინის გზები და თანაგრძნობით ვეპყრობით სათათბიროს ინიციატივას, მაგრამ ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს ის ახალი გზები, რომელნიც გაყვანილ იქნებიან გამოყიდვის ვადის გაგრძელებით, და დარწმუნებული ვართ, მთავრობის წარმომადგენელის განცხადების თანახმად, მთავრობა ღონისძიებას იხმარს განახორციელოს ამ ახალ გზათა გაყვანა და დაუნიშნავს დროს, რომლის განმავლობაში აღსრულებული იქნება გზების გაყვანის საქმე. მეორეს მხრივ ვიღებთ მხედველობაში იმას, რომ მთავრობისათვის ეხლა აუცილებელია გაიღოს დიდი ხარჯი საკულტურო და სხვა საჭიროებათათვის და ამიტომ ეხლა გზის გამოყიდვას ნაადრევად ვცნობთ და მხარს დავუჭერთ საფინანსო კომისიის დადგენილებას“.

ქენჭის ყრით საბჭომ უარჰყო სათათბიროს კანონ-პროექტი კიევვორონეჟის გზის გამოყიდვის შესახებ. შემდეგ სათათბიროს რედაქციით მიიღეს 6 კანონ-პროექტი. აგრეთვე მიღებულია ორი კანონ-პროექტი ერთი—ქალების სამოსწავლო - საამღზრდელო დაწესებულებებში და სასოფლო-სამეურნეო სკოლებში მიღების შესახებ. მეორე—მაიორატების, ანდერძით დატოვებული მამულების და საიჯარო მამულების მფლობელთათვის ნების მიცემის შესახებ, რომ მათ ნება ჰქონდეთ ჩამოჰრან თავის მამულებს. 10 მილიონ მან. დაწყებითი სწავლის საქმეებისათვის დამატებით მიცემის საკითხი კომისიას დაუბრუნდეს.

შემდეგი კრება 26 ივნისს მოხდება.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **ჟურნალისტი არჩილ ჯაჯანაშვილი,** რომელიც ამ ათის დღის წინად დაპატიმრეს, 25 ივნისს საღამოს ციხიდან გაანთავისუფლეს.

✦ **პოლიტეხნიკუმი.** 24 ივნისს კრება ჰქონდა საუწყებათაშორისო კომისიას, რომელმაც პოლიტეხნიკუმის ადგილი უნდა აირჩიოს. კომისიამ განიხილა მასალები, რომელიც შეეხება საპოლიტეხნიკუმო მიწებს. შემდეგი კრება კომისიას ექნება პარასკევს, 28 ივნისს.

✦ **კახეთის რკინის გზის გაგრძელება.** სახელმწიფო საბჭოს მეოოე დეპარტამენტმა ერთხმად მოიწონა აზრი: დაარსდეს საზოგადოება შუა კავკასიის რკინის გზისა, რომ[ლიც] გაგრძელება იქნება კახეთის რკინის გზისა შემდეგ მიმართულებით: ზაქათალა—ნუხა-შემახა-ბაქო. საზოგადოების დამფუძნებელნი არიან: ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრად ნამყოფი მ. მ. ფედოროვი, ინჟინერი ტაგიანოსოვი და უმაღლეს კარის კამერ-იუნკერი თ-დი პ. ი. თუმანიშვილი. დამფუძნებელთ საჭირო ფული პეტერბურგის ბანკებმა აღუთქვეს.

✦ **გოლოვინის პროსპექტზე მომხდარ უბედურების გამო** მეფის მოადგილის თანამდებობის აღმასრულებელმა ნ. პ. შატილოვმა განკარგულება მოახდინა, დაწვრილებით გამოიკვლიონ მიზეზი იმისი, რად ჩამოინგრა გოლოვინის პროსპექტზე საქალაქო შენობა და აგრეთვე გამოარკვიონ, ამ უბედურების მოხდენაში ვის უდევს ბრალი. გამოძიება მინდობილი აქვს მეფის მოადგილის სამმართველოს სატეხნიკო თათბირის თავმჯდომარეს სამოქალაქო ინჟინერს დ. დ. ბუინოვს და მეფის მოადგილის კანცელარიის საქმის მწარმოებელს მ. ა. პისარსკის.

✦ **მეფის მოადგილის თანამდებობის აღმასრულებელი** გენერალი **შატილოვი** ამ ზაფხულს საცხოვრებლად კოჯორს წავიდა.

✦ **საასტრონომიო სადგური.** ბუნების მეტყველთა და ექიმთა შეკამეტე კრებამ საჭიროდ აღიარა, ფუნიკულერის ზედა სადგურზე დაარსდეს სახალხო საასტრონომიო სადგური.

✦ **ქართულ სიმღერათა კრებულს,** რომელიც ბ-ნმა ფალიაშვილმა გამოსცა, ცნობილი კომპოზიტორი ივანოვი „ნოვოე ვრემია“-ში ქებით იხსენიებს.

✦ **გორის ეპისკოპოსი ანტონი** სიღნაღის მაზრას დღეს მიემგზავრება ეკლესიების დასათვალიერებლად.

✦ **გ. ვ. მუსელიუსი** ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის უფროსი, ორის თვით დასასვენებლად პეტერბურგს გაემგზავრა.

✦ **კურსების დახურვა** საზაფხულო კურსები, რომელიც ალექსანდრეს სამასწავლებლო ინსტიტუტში იყო მოწყობილი კავკასიის სამოსწავლო ოლქის საქალაქო პირველ დაწყებით სკოლების მასწავლებელთათვის, გუშინ, 26 ივნისს დაიხურა. ამ კურსებზე დაიხარჯა 1.800 მან., რომელიც სახალხო განათლების სამინისტრომ გაიღო.

✦ **მიწად მოქმედების დეპარტამენტმა** ევგენახერისა და მელვინეობის ტფ. საგუბერნიო კომიტეტს თხოვნით მიმართა, გაუგზავნოს მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს კავკასიური ღვინო ყველა ხარისხისა.

✦ **ახალი ჟურნალი.** ტფ. გუბერნატორმა ნება დართო მ. გ. ლელაშვილს, გამოსცეს ტფილისში ყოველკვირეული საზოგადო-სალიტერატურო და იუმორისტული ქართული ჟურნალი სახელად „ჭინჭარი“.

✦ **ვაჟთა გიმნაზია.** წელს 23 კაცმა გაათავა. ამათში ერთია ქართველი: კაკაბაძე.

✦ **ფუნიკულერს** ხალხი წელს ძლიერ ეტანება, რადგანაც მამადავითის მთაზე მთელი მოედანი მშვენივრად დაგეგმეს და ბაღი გააშენეს. არის წყლის შადრევანიც. უფასოდ უჩვენებენ სინემატოგრაფიულ სურათებს.

✦ **შემწეობა.** კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების საბჭომ დაადგინა, 600 მან. გადასდოს ოზურგეთის მაზრის სოფელ კარისყურში ეკლესიის ასაგებად. 300 მან. 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში შეიტანა, ხოლო 300 მან.-1914 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში შეიტანს.

✦ **რევიზია.** საქართველოს საეგზარხოსო ფულის ანგარიშის შემომწმებელმა კომისიამ, რომელსაც თავმჯდომარეობდა საქართველოს სამრევლო სკოლების საოლქო მეთვალყურე დეკანოზი პაშკევიჩი, 25 ივნისს დაასრულა მთელის ფულის შემოწმება. კომისიაში მონაწილეობას იღებდნენ წარმომადგენელნი შემდეგ ეპარქიებისა: ქართლ-კახეთისა—დეკანოზი კ. ცინცაძე და მღვდელი ლოზოვოი, სოხუმისა—მღვდელი მ. გვაზავა, იმერეთისა—მღვდელი ვ. დოლაბერიძე და გურია-სამეგრელოსი—მღვდელი ი. ბობოხიძე.

✦ **საბირჟო ცნობები.** 26 ივნისს ტფილისში შეთანხმება არ მომხდარა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგია: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებენ 85 მ. 50 კ., აძლევენ—84 მან., ტფ. სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—83 მან. 25 კაპ., აძლევენ—83 მან. და ქუთაისის სათავ.-აზნაურო სადგილმამულ. ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—81 მ. აძლევენ—79 მან., 80 კ., და სახელმწიფო მომგებიანი ბილეთებისა: პირველ სესხისა—453 მან., მეორისა—340 მან. და მესამისა—308 მან.

✦ **ერევნის ეპისკოპოსი** პიმენი 3 მაისიდან 6 ივნისამდე 27 საერო სასწავლებელში დაესწრო სამღვთო სჯულის ეგზამენს.

✦ **სენატორი ე. ა. ვატაცი,** მეფის მოადგილის სამოქალაქო თანაშემწე, გუშინ გუმბრს გაემგზავრა მესაქონლეობის გამოფენაზე დასასწრებლად.

✦ **25 წლის იუბილეს გამო მთავარ-დიაკონმა კ. კარგარეთელმა** მისალოცი დეპეშა მიიღო ტფილისის გუბერნატორად ნამყოფ ობერგოფმარშლის თ-დ გ. დ. შერვაშიძისაგან.

✦ **ახალი კლუბის** მამასახლისთა საბჭომ თავის უკანასკნელ კრებაზე დაადგინა, მიანდოს კომპოზიტორ **ნ. პ. სულხანიშვილს,** მოიაროს საქართველოს სხვა და სხვა კუთხე, შეაგროვოს ქართული სიმღერები და ჯერ ფონოგრაფზე და შემდეგ ნოტებზე გადაიღოს. ბ-ნი სულხანიშვილი სიმღერების შესაკრებად ამ დღეებში კახეთს მიემგზავრება. აგვისტოს პირველ რიცხვებში იგი ქუთაისის გუბერნიას გაემგზავრება და ამავე მიზნით გურია-სამეგრელოს, რაჭა-ლეჩხუმს და აჭარა-სვანეთს მოივლის.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ **ახალ კლუბის** მამასახლისთა საბჭომ ტფილისის კლუბების მამასახლისთა საბჭოებს მოაგონა, რომ საჭიროა ყველა კლუბის წარმომადგენელნი დრო-გამოშვებით იკრიბებოდნენ ხოლმე კლუბების საერთო საქმეთა შესახებ მოსალაპარაკებლად და წინადადება მისცა, ეს აზრი განახორციელონ. კლუბები ამ წინადადებას თანაგრძნობით მიეგებნენ. კლუბების წარმომადგენელთა პირველი კრება გუშინდლისთვის იყო დანიშნული.

✦ **ქ. შ. წ. კითხვის გამავრც. საზოგადოების** გამგეობა უკვე შეუდგა საზოგადოების წლიურ ანგარიშის შედგენას იმ მასალების მიხედვით, რომელიც განყოფილებებმა გამოუგზავნეს.

✦ **მდაბიო მოქალაქეთა რწმუნებულთა კრება,** რომელიც 24 ივნისისთვის იყო დანიშნული ხარჯის ამკრებ მამასახლისის ორის თანაშემწის ასარჩევად, არ შესდგა წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობის გამო და გადაიდო შემოდგომისთვის.

## სასწავლებლებში

✦ **ახალი სკოლა.** ბერძენთა სადქველმოქმედო საზოგადოებამ დაადგინა, მომავალ სექტემბერს ტფილისში ბერძნული ერთ-კლასიანი სკოლა დაარსოს.

## სიღნაღი.

✦ **შეიპყრეს.** მ. ბალიაშვილი, ლ. მჭედლიშვილი და ზ. ბასილაშვილი, რომელთაც ჯუგაანის მცხოვრებ მირზა მირზოევის სახლზე შეარაღებული თავდასხმა ბრალდებათ.

## გორი.

✦ **დედათა გიმნაზია** წელს 21 ქალმა გაათავა. ამათში რვა ქართველია. მათი გვარები აქვე მოგვყავს: მ. გელდიაშვილი ლ. კობაძე, თ. იმხნელი (ოქროს მედლით), ს. კავკასიძე (ვერცხლის მედლით), ნ. მაჭავარიანი, მ. ონიაშვილი, ა. ფურცელაძე და ა. შიხინაშვილი.

## ოზურგეთი.

✦ ამას წინად პოლიციამ მოჰკლა კ. მამულაიშვილი, რომელიც კარგა ხანია გაქცეული იყო და პოლიციას ემალებოდა. მამულაიშვილი გაქცეული იყო დვაბზუის ეკლესიის მღვდლის ღლონტის დაჭრისათვის. ამ ბოროტ-მოქმედების ჩადენის მიზეზი შემდეგია: ახალგაზრდა მამულაიშვილს მღვდლის ღლონტის ნათესავი ქალი გ. უყვარდა, რომელზედაც ჯვრის დაწერა უნდოდა. ამ ქორწინების წინააღმდეგ აღსდგა მღვდელი ღლონტი, რომელთანაც მამულაიშვილს სიტყვიერი შეტაკებაც მოუხდა. ახალგაზრდამ თავი შეურაცყოფილად იცნო, მღვდელი რევოლვერით დასჭრა და გაიქცა, რათა მოერიდებოდა სასამართლოს. მამულაიშვილი სულ 20—21 წლისა იყო. ადმინისტრაციის სიტყვით მამულაიშვილი ფრიად მშვიდობიანი კაცი იყო და სხვა ბოროტ მოქმედება არა ჩაუდენია რა. ამისდა მიუხედავად პოლიცია მამულაიშვილს სდევნიდა, როგორც ყაჩაღად გავარდნილს და მოჰკლა კიდეც.

— ამ დღეებში დააპატიმრეს ცოლოშვილნი ყაჩაღების თაყაიშვილისა, შავლიშვილისა და გუნტაშვილისა. ყაჩაღი დათუნაშვილი თვითვე გამოცხადდა პოლიციაში და დანებდა.

## სურამი

✦ **საგარაკო სეზონი** დაიწყო. წელს მოაგარაკენი ბლომად არიან, თუმცა გასაქირავებელი სახლები კიდევ არის. სახლები წინა წლებთან შედარებით იაფად ქირავდება. სურამ-სანოვაგის ფასიც ხელმისაწდომია.

# ღლიური

### იმოგზაურეთ!

ამ სათაურით მოუწოდებს სანდაიძე „კახეთის ხმაში“ ჩვენს ახალგაზრდობას მშობელი ქვეყნის შესასწავლად: „შეერთდით რამდენიმე კაცი მაინც და თუ შორს ვერ წახვალთ, მოიარეთ ახლო-მახლო მიდამოები, დაათვალიერეთ სოფლები, საისტორიო ნაშთები, გაეცანით ჩვენი გლეხის კონებრივ-კულტურულს მდგომარეობას, შეჰკრიბეთ ხალხში ჩამარხული ძვირფასი საუნჯე—ზღაპრები, თქმულებანი, ლექსები, გაიცანით ხალხი, გაეცანით ხალხს“.

მოწოდება სწორედ დროს შესაფერი და ფრიად საჭიროა. არსად არაა ისე სუსტად განვითარებული მოგზაურობის სურვილი, როგორც ჩვენში. ვერ ნახავთ სხვა ხალხს, რომელიც ისე იყოს მიჯაჭვული ერთს ადგილს, როგორც ჩვენა ვართ. მეტისმეტად უძრავნი ვართ ამ მხრით, თითქოს რაღაც შიშით ვართ შეპყრობილნი, თუ სადმე გავიარეთ, წავედით, ქვეყანა უნდა დაიქცეს. რამდენი ქალაქელი ქართველია, რომ მცხეთაშიც კი არ ასულა, არმაზიც არ უნახავს, მისი მშვენიერი მიდამოები. რამდენი ქართველია, რომ იმერეთისკენ ერთის თვალითაც არ გადაუხედნია. თუ იმერეთიდან გადმოვიდა ვინმე აქეთ, ფეხს მოირთხამს ტფილისში და ვერავინ დასძრავს. ვის უნახავს კახეთი, ალაზნის ველის მხატვრული სურათები, ვინ ყოფილა ჩვენი ძველი კულტურის სავანეში—მესხეთში და ჯავახეთში? ვინ ასულა ხევსურეთში და მიწდომია ამაყი მთების მწვერვალებს? ვინ დამტკბარა დიდებულის მყინვარის ბრწყინვალებით მთვარიან ღამეში ან ამომავალი მზის დროს?

მაგრამ ასეთს შორეულს, გაბედულს მოგზაურობას ვინ დაეძებს. უბედურება ისაა, რომ ჩვენ სულ ახლობელ სოფლის დათვალიერებაც კი გვეძნელება. ჩვენს გვერდით შენახულ ნაშთების ნახვაც კი არ გვეხერხება. აი ავიღოთ თუნდ ჩვენი დედა-ქალაქი ტფილისი: რამდენი სიმდიდრეა აქ ბუნებისა და რამდენი ისტორიული ნაშთია, მაგრამ თვითონ აქ მცხოვრებ ქართველებს როდისმე დაგვითვალიერებია და შეგვისწავლია ან ერთი, ან მეორე? ტფილისი ტფილისელ ქართველებისათვის სრულიად უცნობია, უხილავია, შეუგნებელია. ტფილისი ჩვენი არაა გულით, მას ვერ შეთვისებია ჩვენი სული, მით არა ვართ გამსჭვალულნი.

ეს ჩვენი უდიდესი ნაკლია და თუ გვწადია აღორძინება, განახლება, გაძლიერება, საჭიროა მამულთან დაახლოვებაც პრაქტიკულად, მისი გაცნობა, შეთვისება.

სამშობლოს და მისდამი სიყვარულს განყენებულად ნუ წარმოვიდგენთ. სამშობლო სინამდვილეა, იგი რეალურად არსებობს, ხელით შესახებია და თვალით დასანახი, და ვისაც უნდა სამშობლო ჰქონდეს, უნდა, თვით იხილოს, თვით ჰპოვოს, თვით გაიცნოს იგი. როდესაც ვამბობთ, სამშობლო გვიყვარსო, ეს იმას ნიშნავს, რომ გვიყვარს, რაც ვნახეთ მის კალთებზე, მის მკერდზე, მის გულში; ეს ის გრძნობებია, რომელიც აღგვიძრა მისმა მშვენიერმა სახემ, ის გონებრივი აღფრთოვანებაა, რომელიც მოგვივლინა მისმა მთა და ველმა, ხევმა და მდინარემ, ის ოცნებაა, რომელიც წარმოშვა ჩვენში მისმა იდუმალმა ღამემ.

სამშობლო მოგონებაა, მოგონება მის განვლილ სიმწარეთა და სიამეთა, განცდაა მისი გარდასრულის—და ეს განცდა არსად არაა ისე ძლიერი, როგორც იმ ადგილებში, სადაც ბრძოდნენ ჩვენი მამები, იღვწოდნენ, საიდანაც ნათელს ჰფენდნენ სამშობლოს, სადაც ჰქმნიდნენ სულს მძლავრს, დამოუკიდებელს, თავისუფალს.

სამშობლო მისი კულტურის შეგნებაა, მიღება, შესისხლხორცებაა—და ეს კი შეიძლება არა კარ-ჩაკეტილის მსჯელობით, არამედ მშობელ ხალხთან დაახლოვებით, მისი ჭირისა და ლხინის, მისი სიავის და სიკეთის გაცნობით. კულტურა ჩვენი მარტო წიგნში არაა, იგი უფრო მეტია სინამდვილეში, ხალხში.

# სულიერად დამაზინჯებული

აქედან სჩანს, რომ აქტიური ყურადღების წარმოშობაში და განვითარებაში უმთავრესი ადგილი უჭირავს ორ მომენტს: მოტივებს ან მიზახს, რომელიც წარმოშობს ასეთ ყურადღებას, და ვარჯიშობას, რომელიც ჰქმნის მას ჩვეულებად, ადამიანის მეორე ბუნებითი თვისებად.

მოტივები ამ შემთხვევაში იმდენად მრავალმხრივია, რამდენადაც მრავალ მხრივია თვით ადამიანის ბუნება და მისწრაფება. ყველა ამ მოტივის გარჩევა, რასაკვირველია, ძნელიც არის და ახლა ჩვენთვის გამოუდეგარიც. ამ წერილში მე მსურს მივუთითო მკითხველს მხოლოდ იმ მოტივებზე, რომლითაც სარგებლობს დღეს ჩვენი სკოლა, და ავსწონო, შევაფასო რამოდენიმე მათგანი პედაგოგიური თვალსაზრისით.

ბავშვის ცხოვრებაში დიდ გასაჭირს შეადგენს აქტიური ყურადღების განვითარება. მას არ შეუძლია რომელიმე საგანზე დიდხანს გააჩეროს ყურადღება. პატარა ველურს ეჯავრება, რადგანაც ასეთი ენერგიის დახარჯვა მასში იწვევს უსიამოვნო განცდას. მისთვის ძნელია ყურადღების მიქცევა ისეთ საგანზე, რომელიც მას არ აინტერესებს, ე. ი. ძალა-უნებურად არ იპყრობს მის ყურადღებას.

ამ პატარა ველურის აქტიური ყურადღების ამამოძრავებელი მოტივები, ჩემის აზრით, დაახლოვებით შეგვიძლია გავყოთ ორ კატეგორიად. ის მოტივები, რომლებიც შედიან პირველ კატეგორიაში არ ლახავს ადამიანის სულს, არამედ ასპეტაკებს და აუმჯობესებს მას. ასეთს მოტივებს ეკუთვნის, მაგალითად, სურვილი ბავშვისა სხვას ასიამოვნოს, მისი ცნობისმოყვარეობა და სხვა.

ვის არ ახსოვს, როგორი შურით ვუყურებდით ჩვენ სწავლას, როდესაც პირველად წიგნი მოგვცეს ხელში და ძველი დახავსებული მეთოდით კითხვა დაგვაწყებინეს. მახსოვს ერთ მშვენიერ დილას გამომიყვანა დედამ, გამხადა ფეხებზე და ჩამაყენა პატარა მდინარეში, რომელიც გამოუთქმელის სისწრაფით მჩუხჩუხებდა. ხელში მომცა წიგნი, რომელიც რისთვის, რატომ იყო შექმნილი, არც კი ვიცოდი; მიმითითა ანბანზე და ენერგიულად მეუბნებოდა: ეს არის „ანი“, ეს არის „ბანი“-ო. მე არ ვიცოდი, რას ნიშნავდა ან „ბანი“, ან „დონი“ და როგორც ბაიყუში ვიმეორებდი ამ სიტყვებს. ვინ იცის, როგორი შურის გრძნობით ვუყურებდი ამ ჩემთვის „გაუგებარ“ „ან“-საც და „დონ“-საც, მაგრამ თუ მაინც თავს ძალას ვატანდი და ვსწავლობდი არა იმიტომ, რომ მეცადინეობა მიყვარდა, არამედ იმიტომ, რომ მრცხვენოდა ჩემი უფროსი ძმის, რომელიც წინააღმდეგ შემთხვევაში სასაცილოდ ამიღებდა; მასთანავე ვიცოდი, რომ ჩემი სწავლით მშობლებს გავახარებდი.

პერეცს მოჰყავს შემდეგი მაგალითი: ერთხელ ექვსი წლის ბავშვი, ძლიერ დაუდეგარი მოუჯდა თავისი სურვილით როიალს, რომ დაესწავლა ის მოტივი, რომელიც ძლიერ მოსწონდა მის დედას. ეს ვარჯიშობა გრძელდებოდა, დასძენს ავტორი, საათზე მეტს.

იმავე ბავშვმა, როდესაც უკვე შვიდი წლისა იყო, რაკი დაინახა, რომ მისი ძმა მუდმივ შრომობდა, ჩაიკეტა კარები მამის სამეცადინო ოთახში.

— „რას აკეთებ შენ?“ — ჰკითხა გაკვირვებულმა ბიძამ.

— მე ვსწერავ გერმანულ გაკვეთილს!—უპასუხა ბავშვმა: „მართალია, ეს არ არის მაინცდამაინც სასიამოვნო, მაგრამ მე მსურს სიურპრიზი გაუკეთო დედაჩემს“.

ეს აქტიური ყურადღება არის ალტრუისტული იმდენად, რამდენადაც ბავშვი ჰფიქრობდა არა თავის თავზე, არამედ დედაზე, მაგრამ აი მეორე მაგალითიც, რომელიც ყველა პედაგოგს გაუგონია და რომელიც გვიმტკიცებს იმას, თუ რა მნიშვნელობა აქვს ცნობის მოყვარეობას აქტიური ყურადღების აღორძინების პროცესში.

ბავშვი დაჟინებით უარს აცხადებს შეითვისოს მექანიზმი კითხვისა. მას არა აქვს შეძლება, არ ყოფნის ენერგია, რომ მიაქციოს ყურადღება ანბანს, დააკვირდეს მას. მაგრამ ის იმავე დროს მწყურვალედ დასცქერის სურათებს, წიგნში მოთავსებულს და ადამიანის ბუნებრივი თვისებათავმოყვარეობა აღვიძებს მასში უზომო სურვილს გაიგოს სურათების შინაარსი. ის მიდის მამასთან და ეკითხება, თუ რა არის დახატული ამ სურათზე.

— როცა კითხვას დაისწავლი, მაშინ თვით წიგნი გეტყვის ყველაფერს“.

ასეთი საუბრის შემდეგ, რომელიც შეიძლება არა ერთხელ განმეორდეს, ბავშვი ემორჩილება ბედს. პირველად მან, შეიძლება, უხასიათოდ მოჰკიდოს ხელი, მაგრამ შემდეგ ეჩვევა და ბოლოს ისეთ სიბეჯითეს იჩენს, რომ იძულებული ხართ ხშირად ძალით გააგდებინოთ ხელიდან წიგნი.

მეორე კატეგორიის მოტივები, რომელიც ლახავს ადამიანის ნორჩ სულსა და რომელსაც დიდი ადგილი ეჭირა და დღესაც უჭირავს აქტიური ყურადღების შემუშავების პროცესში, შეიცავს შიშს, სასჯელს, საჩუქარს, თავმოყვარეობის დამცირებას და ბევრ სხვა ასეთ გრძნობას. მოტივი, რომელიც სასჯელით გამოიხატება, დიდად გავრცელებული იყო, მაგალითად, საშუალო საუკუნოების სკოლებში. ცემა-ტყეპა იყო ის ერთად-ერთი პედაგოგიური საშუალება, რომლითაც, აღვიძებდნენ ბავშვის გულში შრომის უნარს.

სასჯელი, როგორც სამარცხვინო, თავმოყვარეობის შემლახველი ზომა, გავრცელებული იყო აგრეთვე იეზუიტების სკოლებშიაც, გაშოლტვა ყველა ამხანაგის წინაშე აქაც ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა. რაც შეეხება სხვა მოტივებს, როგორიც არის, მაგალითად, შეჯიბრება და სხ. ამათ ხომ არა ნაკლები ადგილი ჰქონდა დათმობილი. ყოველ მოსწავლეს ჰყავდა თავისი მოპირდაპირე, რომელიც იჭერდა მას შეცდომებში. მთელი კლასი იყოფებოდა ორ ნაწილად: „კართაგენი და რომი“ და მათ შორის ყოველთვის გამოუთქმელი ჯიბრობა იყო. შემოღებული იყო სხვა და სხვა ხასიათის საჩუქრები იმათთვის, ვინც ყველას აჯობებდა ან გამოიჩენდა ცოდნას. ნიშნებსაც, რომელიც დღეს ჩვენი სკოლის დედა-ბოძს შეადგენს და რომელიც უანდერძებია ჩვენთვის იეზუიტებს, დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი. წლის ბოლოს იმათი სახელი და გვარი, ვინც კარგად დაიჭერდა ეგზამენს, იწერებოდა განსაკუთრებულ სიაში, რაც ყოველ საჩუქარზე მეტ გავლენას ახდენდა მოსწავლეზე.

მათ, ვინც შრომის უნარს ვერ იჩენდა, არა თუ მარტო სწკეპლავდნენ, არამედ აძლევდნენ ზედ მეტ სამუშევარს, ამდაბლებდნენ მის თავმოყვარეობას იმითაც, რომ წამოაცვამდნენ „ვირის ყურებს“, „სულელის თავსახურავს“ და სხვა.

ასეთი საშუალებით აიძულებდნენ იეზუიტები მოსწავლეებს, რათა მათ მეცადინეობისათვის ხელი მოეკიდნათ და აქტიური ყურადღება გაენვითარებინათ. რასაკვირველია, მუდმივი ვარჯიშობისა გამო ისინი მიზანსაც აღწევდნენ და მათი სკოლიდან გამოდიოდნენ შრომისადმი სიყვარულით სავსე მებრძოლნი, შემუშავებული აქტიური ყურადღება შეადგენდა მათს მეორე ბუნებას. მართალია, ბევრი ასეთი ღონისძიება დაჰგმო ჩვენმა თანამედროვე სკოლამ, მაგრამ სრულიად ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულა: მაგალითად ნიშნებს, სასჯელს, საჩუქარს, რომელიც ბავშის თავმოყვარეობას ეხება დღესაც დიდი ადგილი უჭირავს ჩვენი სკოლის ცხოვრებაში.

უეჭველია, ასეთი ხერხით ჩვენ შეგვიძლია დავაწყებინოთ ბავშს მეცადინეობა, მოვაკიდებინოთ ხელი ისეთ სამუშევრისთვის, რომელიც მასში მხოლოდ ზიზღის მეტს ვერას იწვევს, შეგვიძლია ავამუშაოთ მასში აქტიური ყურადღება, რომელიც ხშირი ვარჯიშობის გამო ჩვეულებადაც იქცევა, მაგრამ ამასთან ერთად ისიც ექვს გარეშეა, რომ ასეთი ღონისძიებით ჩვენ ვაღვიძებთ ბავშვი ავათმყოფურ თავმოყვარეობას, ერთნაირ ეგოიზმს და ცოდნისადმი ინდიფერენტიზმს. ასეთნაირად აღზრდილი ბავშვები მოკლებულია ცოდნისადმი ყოველივე სიყვარულს, რომლითაც საზოგადოდ ბუნება ადამიანს აჯილდოვებს. იგინი სწავლობენ კარგად არა იმიტომ, რომ შრომა, სწავლა, ჭეშმარიტების ძიება და კვლევა უყვართ, არამედ იმიტომ, რომ სურთ დააკმაყოფილონ თავისი ავათმყოფური თავმოყვარეობის მოთხოვნილობანი. მათ სურთ მეგობრებში და მოსწავლეებში პირველი ადგილი ეჭიროთ, მათ სურთ, რომ ნაცნობები და სასწავლებელნი საკმეველს უკმევდეთ. პირადი ინტერესები, მდაბალი კათეგორიის მოსაზრებანი მათ წინ აქვთ წამოყენებული, ნამდვილი მაღალი მოტივები კი უანგარო, წმინდა სიყვარული მეცნიერებისადმი ან შრომისადმი მათში დახშულია. ნუ დაუწერთ კარგ მოსწავლეს კარგ ნიშნებს, ნუ გამოჰყოფთ მას მოსწავლეების ჯგუფიდან, ნუ დაასაჩუქრებთ მას და თქვენ ცხადად დაინახავთ, რომ ბევრი კარგი მოსწავლეთაგანი სწავლასაც მიატოვებს.

ისინი, როგორც სკოლაში, აგრეთვე ცხოვრებაშიაც მოქმედებენ იმდენად, რამდენადაც მათი თავმოყვარეობა და პირადი ინტერესები კმაყოფილდება, მოძმის ბედნიერებასა, მეცნიერების განვითარებასა და კაცობრიობის წინსვლაზე ისინი იმდენად ჰფიქრობენ, რამდენადაც ასეთ მოქმედებას შეუძლია მოუტანოს მათ დიდება და სახელი. ამიტომ ასეთი ტიპები კეთილის განხორციელების პროცესში უიმედო ნიადაგს წარმოადგენენ. ასეთი პირების ტიპიური წარმომადგენელია გამოჩენილი რუდინი ტურგენევისა (უმთავრესი გმირი რომანი „რუდინი“-სა). რუსეთის მწერალმა ნიჭიერი კალმით დაგვიხატა, თუ რა ზიანი მოაქვს ადამიანისათვის ასეთ თავმოყვარეობას, რომლის განვითა-

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 928.

სამშობლო არ არსებობს იმისთვის, ვისაც არ უნახავს იგი, ვინც არ იცნო, ვინც არ გაეცნო მას, ვინც არ შეეხო და არ განიცადა, არ განიცადა თავის დახშულ ოთახში კი არა; განიცადა თვითონ სამშობლოს მიდამოებში, სამშობლოს მშვენიერ სანახავებით, მისი გარდასრულის ბედის განცხოველებით.

ჩვენში სუსტია ეროვნული თვითშეგნება; სუსტია, ძალზე სუსტია სამშობლოსადმი სიყვარული. მე ყოველთვის იმას ვიტყვი, რომ ჩვენი უბედურების უმთავრესი მიზეზი ჩვენ თვითონა ვართ. აღვიზარდოთ და გავაძლიეროთ ჩვენს სულში ეროვნული სიყვარული, და მაშინ ყოველს განსაცდელს ადვილად დავძლევთ.

გავიცნოთ ახლო სამშობლო, თუ გვინდა შეგვიყვარდეს. დავუახლოვდეთ სამშობლოს, თუ გვინდა, რომ იგი არსებობდეს ჩვენთვის

**სიტყვა**

# ჟურნალისტის დღიური

134.

### უცნაური მოვლენა.

დღევანდელს ჩვენს გაზეთში დაბეჭდილია ბ-ნ ალ. წუწუნავას წერილი. იგი თავს ანებებს სახალხო სახლთან არსებულ დრამატიული წრის რეჟისორობას. ეს გარემოება თავის თავადაც ღირსია ყურადღებისა, რადგანაც ბ-ნ ალ. წუწუნავას, როგორც ნიჭიერსა და გამოცდილ რეჟისორს, უკვე იცნობს ჩვენი საზოგადოება. ჩვენი პირდაპირი ინტერესი მოითხოვს, რომ ასეთ პირთ ყოველთვისა ჰქონდეთ სამოქმედო ასპარეზი ჩვენს ქვეყანაში. მაგრამ ამ ჟამად ჩვენ ეს არ გვაინტერესებს. ჩვენ გვინდა მკითხველის ყურადღება მივაქციოთ ბ-ნ წუწუნავს წერილის იმ ადგილს, სადაც იგი რამდენიმე პირის „პოლიტიკას" იხსენიებს. ალბად, სახალხო სახლის დრამატიულ წრეში ისეთი ატმოსფერა შექმნილა, რომ ბ-ნ წუწუნავას შეუძლებლად მიაჩნია იქ მუშაობა. რანაირი თვისებისაა ეს ატმოსფერა? შესაძლებელია ბევრი წვრილმანი მიზეზებიც იყოს, მაგრამ მთავარი ძარღვი უთანხმოებისა კი, როგორც თვით ბ-ნი წუწუნავა აღნიშნავს, პრინციპიალური ყოფილა. დიდი ხანია სახალხო სახლის დრამატიულ წრეში ერთმანეთს ებრძვის ორი ტენდენცია: უტილიტარისტული შეხედულება ხელოვნებაზე სცდილობს განდევნოს თეატრიდან ყველაფერი ის, რაც პროგრამულ საკითხებს გარეშე სდგას და წმინდა ხელოვნებას ემსახურება. უტილიტარისტებს ხელი ვნებაცა ჰსურთ დაუკავშირონ თავიანთ ვიწრო ჯგუფობრივ აზროვნებას და თეატრი ამ ჯგუფობრივ მიზნების განსახორციელებელ საშუალებად გადააქციონ. მეტის მეტად მოძველებული და გაცვეთილი აზროვნებაა. ხელოვნება თავისთავადაც, მიუხედავად უტილიტარისტულ სარგებლობისა, დიდ ღირებულებას წარმოადგენს. მუშა ხალხიც უნდა შეეჩვიოს ხელოვნების ამ გვარად დაფასებას, იმანაც უნდა იცოდეს, რომ ხელოვნებას არის საშუალება ესთეტიური ტკბობისა და არა ეკონომიური პირობების გაუმჯობესებისა. მუშა განსაკუთრებული რამ ტიპის ადამიანი არ არის, რომ მისთვის უცხო იყოს ესთეტიური ტკბობა და უმაღლესი ესთეტიური განცდა. თუ ამ ხალხის ბუნებრივ ინსტინქტს დაეყრდნობით, მალე დარწმუნდებით ამაში. მაგრამ, თუ დოგმატიზმით გახევებული აზროვნება მოახვიეთ თავს, მაშინ შეიძლება ბუნებრივმა სალმა ალღომ იმასაც უღალატოს. ბრძანდებოდა ერთი გამოჩენილი ადამიანი, რომელიც „ვეფხის-ტყაოსანს" მავნებელ წიგნადა სთვლიდა ხალხისთვის, მაგრამ ხალხი მას არ უჯერებდა და სახარებასავით ედო წინ უკვდავი პოემა. ასეთი ძლიერია ბუნებრივი ესთეტიური ალღო შეურყვნელი ფსიხიკის ადამიანისა, თუნდაც იგი დიდად განათლებული არ იყოს.

სახალხო სახლთან არსებულ დრამატიულ წრეში ყოველთვის არსებობდა ასეთი უტილიტარისტული შეხედულება ხელოვნებაზე და ამით აფერხებდა წარმოდგენების მხატვრულ დადგმას. როდესაც რეჟისორად ბ-ნი ალ. წუწუნავა მოიწვიეს, იმედი მოგვეცა, რომ იგი წრის მოქმედებას ნორმალურ კალაპოტში ჩააყენებდა და ცოტათი მაინც გაანელებდა, შეასუსტებდა ხელოვნების დამღუპველ ატმოსფერას.

როგორცა ვხედავთ, ბ-ნი ალ. წუწუნავა სახალხო სახლს თავს ანებებს. მაშასადამე იმანაც კი, ვინც ასე ახლო სდგას სახალხო სახლში გამეფებულ ჯგუფთან, ვერ მოახერხა ნორმალური ატმოსფერის შექმნა.

ასეთი მდგომარეობა შეიქმნა სახალხო სახლში და ჩვენ, რომელნიც გარედან შევცქერთ იქ გამეფებულ შინაურ უთანხმოებას ის ღა დაგვრჩენია ვურჩიოთ: დროა გონს მოვიდნენ, თორემ წვითა და დაგვით გაკეთებული საქმე დაიღუპება და მერე გვიანღა იქნება „თითზე კბენანი".

**შინაური.**

# სრულიად რუსეთის ბუნებისმეტყველთა და ექიმთა მე-XIII კრება

◆◆ 24 ივნისს მოხდა უკანასკნელი სადღესასწაულო საერთო სხდომა. ამ დღეს კრებას აუარებელი ხალხი დაესწრო. ნაშუადღევის პირველ საათზე კრება გახსნა საპატიო თავმჯდომარემ, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა **რუდოლფმა**. სიტყვა მიეცა მოსკოვის **შანიავსკის** სახელობის უნივერსიტეტის პროფესორს, **კოლცოვს**, რომელმაც ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა **კრ ლის** მოაზროვნე ცხენების შესახებ. მომხსენებელმა დასვა საკითხი, შეუძლიათ თუ არა ცხოველებს დამოუკიდებელი აზროვნება. შემდეგ ორატორმა დამსწრეთ გააცნო ცნობები კრალის ცხენების შესახებ. ბ-ნმა ფონ ოსტენმა შეიძინა ცხენი სახელად განსი ორლოვის ცხენის მომშენებელ საჯინიბოდან. მან ასწავლა ცხენს წერა-კითხვა და ანგარიში. ფონ-ოსტენის სიკვდილის შემდეგ ცხენი განსი ოქრომჭედელმა კრალმა შეიძინა. მაკიდევ რამდენიმე სხვა ცხენიც იყიდა და ამ ცხენებს არამც თუ წერა-კითხვა და ანგარიში, არამედ არითმეტიკული ამოცანების გაკეთებაც კი შეასწავლა. კრალის ამ ცხენებმა სწავლულთა შორის მთელი ლიტერატურა გამოიწვია. მაგრამ როგორც გერმანელი მეცნიერები, ისე მომხსენებელიც ვერავითარ გარკვეულ აზრს ვერ დაადგინენ იმის შესახებ, ამ ცხენების სწავლა ცხოველების დამოუკიდებელი აზროვნების შედეგია, თუ კარგად წრთვნისა.

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა პროფესორმა **ტარასევიჩმა**. ორივე მომხსენებელი ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვეს.

მოხსენების შემდეგ კრება შესწყდა ათი წუთით. სხდომის გაგრძელებისას კრების საქმის მწარმოებელმა **ლაისტერმა** წაიკითხა კრების მოქმედების ანგარიში. უცხო ქალაქებიდან ჩაწერილ წევრთა რიცხვიდან კრებას 145 კაცი არ დაესწრო. საერთო კრება იყო სამი, რომლის დროსაც წარმოითქვა შვიდი მეცნიერული სიტყვა. კრების საერთო შემოსავალი იყო 26,200 მანეთი, აქედან საწევრო გადასახადი შემოვიდა — 10,200 მან. სხვა და სხვა სექციის მიერ მოწყობილ გამოფენებიდან, ყველაზე მეტი კაცი დაესწრო საექიმო, სამეცნიერო ბეითლებისა და საპედაგოგიო საკითხების გამოფენებს. უკანასკნელ გამოფენას 6,634 კაცი დაესწრო. ამ ხნის განმავლობაში ექსკურსიები იმართებოდა, როგორც ქალაქის განაპირა ადგილებში ისე, ქალაქის ახლო-მახლო მდებარე ადგილებში. 25 ივნისიდან დაიწყო საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში ექსკურსიები. კრების საბჭო გადიდებულ იქმნა სექციებს წარმომადგენლებით. კრებას მოეხსენდა ყველა ის მოსაზრებანი, რომელიც სხვა და სხვა სექციების კრებებზე იქნა მიღებული. ეს სურვილები ჩვენ გვქონდა დაბეჭდილი სექციების სხდომების ანგარიშებში. ყველა საყურადღებო ფორმულა მიღებულია.

პროფ. **ორშანსკიმ** წინადადება შეიტანა, რომ ყოველ მსხვილ საპედაგოგიო ცენტრში დაარსდეს საექიმო-ფსიხოლოგიური ლაბორატორიები, სხვათა შორის ქ. ტფილისშიაც, სადაც უნდა დაარსდეს პირველი ასეთი ლაბორატორია, მოსწავლეთა სწავლის უნარის საშუალო ნორმის გამოსაკვლევად.

პროფ. ორშანსკის წინადადებას კრება ხანგრძლივი ტაშის ცემით მიეგება.

კრების თავმჯდომარემ პროფ. **კაზლოვმა** მოახსენა, რომ კრების მონაწილეთა ჯგუფმა შუამდგომლობა შეიტანა, რაც შეიძლება მალე დამტკიცდეს მე-XII კრების წესდება ექიმთა და ბუნებისმეტყველთა ასოციაციისა. ამ წინადადებასაც კრება მხურვალე ტაშის ცემით მიეგება. შემდეგ თავმჯდომარემ წაიკითხა ქ. იალტის ქალაქის მოურავის დეპეშა, რომლითაც კრების წინაშე შუამდგომლობენ, რომ შემდეგი კრება იქ გაიმართოს, აგრეთვე ქ. ხარკოვის პროფესორების ჯგუფისა დამსახურებულ პროფესორის ი. **ოსიპოვის** მეთაურობით

პრ. **ოსიპოვმა** პირადად მოახსენა კრებას შუამდგომლობის დასაბუთება და აღნიშნა, რომ კრების 50 წლის არსებობის დროს, ხარკოვში სადაც ბევრია მეცნიერული ძალები ერთხელაც არ ყოფილა გამართული კრება.

თავმჯდომარის წინადადებით ქ. ხარკოვი ერთხმად იქმნა არჩეული შემდეგი მე-XIV კრების ადგილად, რომელიც გაიმართება 1916 წელს, იალტის ქალაქის თვითმმართველობას კი თავაზიანობისათვის სამადლობელი დეპეშა გაეგზავნი.

შემდეგ თავმჯდომარემ განაცხადა, რომ კრების მუშაობა დასრულდა, მაგრამ კრების მოვალეობაა დეპეშა გაეგზავნოს კავკასიის ნამესტნიკს გრაფ **ი. ვორონცოვ-დაშკოვს**, რომლის განათლებულ ინიციატივით იყო კრება მოწვეული ტფილისში. ეს წინადადება ერთხმად იყო მიღებული, როგორც წინადადება რომ მადლობა გადაეხადოს კავკავკასიის ნამესტნიკის მოადგილეს **გენ. შატილოვსა** და თანაშემწეს **სენატორ ვატაცის**. კრება დაიხურა საღამოს 6 საათზე.

◆◆ გუშინ კრების მონაწილეთა ჯგუფი 60 კაცამდე საექსკურსიოდ გაემგზავრა ბორჯომსა და ბაკურიანს. იქიდან ისინი რუსეთში წავლენ ბათომით.

# გოლოვინის პროსპექტზე მომხდარ უბედურების გამო.

აგერ ოთხი დღეა, რაც საზარელი ამბავი დატრიალდა გოლოვინის პროსპექტზე, მაგრამ აღელვებული ხალხი ახლაც არ დამშვიდებულა. „კრუჟოკის" შენობასთან ყოველ დღე ახლაც შეხვდებით შეჯგუფულ ხალხს, რომელიც საზარელ დრამის ადგილს ათვალიერებს და ცნობის მოყვარეობას იკმაყოფილებს. შენობას გარშემო ფიცრები აქვს შემოკრული და ხალხი ახლოს ვერ მიდის. შენობაზე მუშაობა, რასაკვირველია, ახლაც შეჩერებულია. შესაძლებელია, რომ შენობის გადაკეთება ალარც კი გაგრძელდეს, თუ სპეციალისტებმა სცნეს, რომ შენობა მკვიდრი არ არის და ახალს უბედურებას უქადის ხალხსა.

შენობის ქვედა სართულში მოთავსებული მაღაზიებიც დაკეტილია და მათ პატრონებს დიდი ზარალი აქვს, რომლის ანაზღაურებაც უეჭველია ქალაქის თვით-მმართველობას დაეკისრება.

— ქალაქს უეჭველია დავა მოუხდება „ტფილისის კრუჟოკ"-თანაც, რომელსაც შენობა იჯარით აღებული აქვს და რომლისთვის შენობა სრულიად დამთავრებული სექტემბერში უნდა ჩაებარებინა. რადგანაც ქალაქს უკვე დადებული აქვს ხელშეკრულობა „კრუჟოკთან", ამიტომ მას დიდის ფულის გადახდა დასჭირდება ჯარიმის სახით.

— გუშინ, შუადღის 12 საათზე, შენობის დაწვრილებით შემოწმებას შეუდგნენ, რამაც ნაშუადღევის 2 საათამდე გასტანა. შემოწმება საღამოთიც გაგრძელდა. შემოწმებას დაესწრნენ: ტფ. გუბერნატორი ა. გ. ჩერნიავსკი, ვიცე გუბერნატორი პანოვი, პროკურორი, გამომძიებელი, პოლიცმეისტერი, საგუბერნიო სამმართველოს ინჟენრები, მეფის მოადგილის სატეხნიკო კომისიის წარმომადგენელნი, სახელმწიფო სამსახურში მყოფნი სამხედრო და სამოქალაქო ინჟინრები და საგანგებოდ მიწვეული კერძო პირნი.

— მომხდარ უბედურების მიზეზთა გამოსაკვლევად გუშინ, შუადღისას, ქალაქის გამგეობის თაოსნობითაც მოხდა კრება.

— ქალაქის ჩამონგრეულ შენობაში მყოფ ფეხსაცმელების მაღაზიაში, რომელიც დავიდოვის ქუჩის მხარესაა, ერთი თვის წინედ ჭერი ჩამონგრეულა და კინაღამ არ დაუხოცია იქ მყოფი ნოქრები. მხოლოდ ქალაქის თვითმართველობა მაღაზიის პატრონს შესთანხმებია, ამ ამბავს სასამართლომდე ნუ მიიყვან, ნუ გამოაქვეყნებ და შემწეობა მიუციათ.

— როგორც გადმოგვცეს ყველა იმ მაღაზიის პატრონთათვის, რომელიც ჩამონგრეულ შენობაში იმყოფება, ქალაქის გამგეობას უთხოვნია ზარალს შეთანხმებით აგინაზღაურებთ, თუ საქმეს სასამართლომდე არ მიიყვანთო.

# მუშათა ცხოვრება

◆ პეტერბურგში ნალმების ქარხნის მუშებმა, რიცხვით 600 კაცმა, კრება გამართეს, რომელზედაც დაადგინეს: გამოაცხადონ ერთი დღის გაფიცვა.

◆ „ზიგელის" აქციონერ. საზოგადოების მექანიკური ქარხნის 800 მუშამ ეკონომიური მოთხოვნილებანი წარუდგინა ქარხნის პატრონებს. მუშაობა შესწყდა.

◆ ბალტიის ქარხნის მექანიკურ სახელოსნოს მუშებმა ძალით გააგდეს უფროსი ოსტატი პოლიკარპოვი, რომლის დათხოვნასაც დიდი ხანია თხოულობდნენ მუშები. ამის გამო დაითხოვეს 29 მუშა.

◆ „ნოვი აივაზის" მანქანების ქარხნის ხელსაწყოების განყოფილებათა მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს. გაფიცვა ეკონომიური ხასიათისაა.

◆ „ტორგ. პრომიშლ. გაზეტა" მოჰყავს ანგარიში იმ გაფიცვებისა, რომელიც ამ უკანასკნელი ხუთი თვის განმავლობაში მომხდარა პეტერბურგში. გაფიცვა მომხდარა სულ 74, ამათში მონაწილეობა მიუღია 200.000 მუშას. თუმცა გაფიცვათა საერთო რაცხვიდან მხოლოდ 3 ყოფილა პოლიტიკური ხასიათისა. მაგრამ ამ სამ გაფიცვაში მონაწილეობა მიუღია თითქმის 180.000 კაცს.

# საზარელი დრამა

(წერილი გორიდან).

საზარელი დრამა დატრიალდა აქ კვირას, 23 ივნისს. ხსენებულ დღეს ღამის პირველ საათზე პარიკმახერმა შალვა ბოჭორაძემ, გორ. მაზრის სოფ. მეტეხის მცხოვრებმა მტკვრის აღელვებულ ტალღებს მისცა მზაკვრულად თვის ღვიძლი და, 12 წლის ქალი, არსება უდანაშაულო, უმანკო, უწყინარი, მაგრამ... იმუშავა პატარა ქალის ბედმა, არ შესრულდა მზაკვრობა ბოროტი ადამიანისა და ტალღებ მიცემული რაღაცა მანქანებით გავარდა სიკვდილს პირიდან. როგორც ხალხში ლაპარაკობენ და როგორც თვით ბავშვმა გადმოგვცა, ეს ბოროტი საქმე ასე მომხდარა:

პატარა ქალს კაი ხანია მშობლები დახოცია და ბიძისა და ძმის ამარა დარჩენილა. მაგრამ ეს უკანასკნელი მფარველის მაგიერ ბოროტ დემონად მოვლინებია და სცემდა სტანჯავდა, აწამებდა თურმე... მაგრამ დემონის ბოროტებასაც აქვს ხოლმე საზღვარი. იმასაც გადაუწყვეტია „ეკმარებინა" ობოლი დისთვის ტანჯვა და ერთხელ და სამუდამოდ მოეშორებინა თავიდან, მაგრამ რით, როგორ? ბოროტ დემონს მალე გამოუნახავს „გზა ხსნისა". ხსენებულ დღეს, 23 ივნისს ღამის პირველ საათზე გაუღვიძებია მძინარე დაი და „ტფილისში წასაყვანად" მოუმზადებია, გარეშეთათვისაც ისევე უთქვამს—„ტფილისში მიმყავს ბიძასთანაო". რა იცოდა პატარა გოგონამ, თუ რა მზაკვარება იყო ჩამალული ძმის გულში, რა იცოდა თუ ათი წუთის შემდეგ აღელვებულ მდინარის ტალღებს მიეცემოდა? როდესაც ხიდზე მისულან, ძმას უთქვამს დისთვის —„შენ ალბად გეშინიან ხიდზე, მოდი, ხელში აგიყვანო". აუყვანია ხელში და... გადაუსვრია წყალში... მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, პატარა გოგონას ბედს სხვანაირად გაუჭრია. წყალში ძველი ბოძების ნახევრებია დარჩენილი და აი სწორედ ამ ბოძს მოჰბღაუჭებია იგი... უფოფხნია, უყვირნია, მოუწოდებია საშველად ცა და ადამიანი... სწორედ ამ დროს თურმე ერთი დედაბერი მოდიოდა ხიდზე—სხვა სოფლიდან მატარებლით ჩამოსულიყო. მოესმა ქვევიდან ჰყაპუნი, ძახილი... დედაბერს შეშინებია,—დაუწყვია პირჯვრის წერა, —„ფუ ეშმაკს, ფუ ეშმაკს!.. თუ წყეული ხარ, განქრიო!.." „დედიჯან, წყეული არ ვარ, ადამიანი ვარ, ქრისტიანი!" შემოსმენია ქვევიდან ცახცახებულს დედაბერს. სწორედ ამ დროს სხვებიც წამოსწრებიან და ქანც მიწყვეტილი, გათოშილი ბავშვი ამოუყვანიათ წყლიდან... მაშინვე მიიყვანეს იგი პოლიციაში. შეადგინეს ოქმი... ბოროტი ძმა კი შეიპყრეს. ხალხი მეტად შეძრწუნებულია. სადღეისო სალაპარაკოდ ეს საზარელი დრამაა გადაქცეული...

ამ ხიდიდან ამას წინადაც ერთი კაცი გადააგდეს. ამავ ხიდიდან, აქედანვე გადავარდა შარშან შემოდგომაზე შ. თაბუნიძე და დაიხრჩო. ვგონებ ქალაქის გამგეობას ვალად სდევს მიიღოს მხედველობაში ყველა ეს და ხიდზე ღამის ყარაულები დააყენოს...

**სანგანიძე.**

# რუსეთი

**განხეთქილება პოლონელთა კოლოში.**

თავრიდის სასახლეში ხმა დადის, კოლოში განხეთქილება მოხდაო. მიზეზად ასახელებენ პოლონეთის სამოქალაქო დებულების განხილვის დროს კოლოს ტაქტიკას. კოლოდან გამოდიან: პარჩევსკი, ლემპიცკი და სხვა. პარჩევსკი პრინციპიალური მოსაზრებით გადის კოლოდან. კერენსკის შესახებ დადგენილებაზე ხელი არ მოეწერა პარჩევსკის, მაგრამ კოლოს თავისნებით აღენიშნა ლ. პარჩევსკის გვარი.

# ბალკანეთის მოკავშირეთა შეტაკება

(დეპ. პეტ. სააგენტო).

**25 ივნისი.**

**სალონიკი.** მემკვიდრე ნიკოლოზი დილით მოწინავე პოზიციებზე წავიდა. ბერძენთა ჯარი მისდევს ბულგარელებს დოირანის ჩრდილოეთით, რომელნიც სტრუმიცისკენ მირბიან.

**სოფია.** ტომჩევის გაწვევა მოხდა მას შემდეგ, რაც სერბიის მთავრობამ განაცხადა, რომ ყოველივე კავშირს ვსწყვეტ ბულგარეთთან და სერბიის ინტერესების დაცვას რუსეთის ელჩს ვანდობო.

**ათინა.** ათინის სააგენტო იუწყება: სამი დღის სისხლისმღვრელ შეტაკებათა შემდეგ ბრძოლა ბერძნების ბრწყინვალე გამარჯვებით გათავდა, მთელს ფრონტზე ანდანიდან ნივრიტამდე. ბერძნების წინააღმდეგ იბრძოდა ბულგართა 88 ბატალიონი 180 ზარბაზნით, რომელნიც გამაგრებულნი იყვნენ პანგაიონის მთისა და დოირანის შუა. ბულგარელების რაზმი. რიცხვით 1500 კაცი, რომელიც იანინის მთებში აპირებდა შეპარვას, სრულიად დამარცხდა. ბულგარელებს საზოგადოდ დიდი ზარალი მოუვიდათ. ბერძნებმა ხელთ იგდეს მრავალი ტყვე, სურსათი და იარაღი.

**სოფია.** ბულგარეთის სააგენტო უკანასკნელად და კატეგორიულად უარჰყოფს იმ ხმას, თით-

---

რებასაც უსათუოდ ხელს უწყობს თანამედროვე სკოლა. ნიჭიერმა მხატვარმა ნათლად დაგვანახვა, თუ როგორ უსარგებლოდ იკარგება უმაღლესი ნიჭი, ცოდნა, თუ ამ ნიჭსა და ცოდნას არ ახლავს სიყვარული მეცნიერებისადმი, წმინდა სურვილი ტანჯულისა და შეუგნებელი მოძმისათვის სარგებლობის მოტანისა.

რუდინი, ერთად-ერთი შვილი ქვრივი დედისა, ბუნებით დიდად დაჯილდოვებული იყო მჭერმეტყველობით და მტკიცე ფილოსოფიური აზროვნებით, რის გამოც მას თითქმის ყოველგან და ყოველთვის პირველი ადგილი ეჭირა. სტუდენტთა წრეებში რუდინი ადრე შეიქნა ამხანაგების საერთო სათაყვანო. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ რუდინს ვხედავთ მემამულე ლასუნსკის ქალის სახლში. მას გარს ახვევია უცნობი თუ ნაცნობი საზოგადოება. ყველას ყურადღება მიპყრობილია რუდინზე, რომელიც სდგას ფანჯარასთან და აღტაცებით, თავდავიწყებით ლაპარაკობს ღმერთსა, სიმართლესა, სიყვარულსა და სხვა ასეთ მაღალ კითხვებზე. მაგრამ მის თვალებში, დასძენს ავტორი, შემდეგი გამოიხატებოდა: „აბა, შემომხედეთ, როგორი ცოდნისა და ენის პატრონი ვარო. როდესაც მას ერთ სტუმართან მცირედი ბაასი შეხვდა, დაინტერესებული იყო არა იმით, რომ შეერთებული ძალით ჭეშმარიტება გამოეკვლია, არამედ იმით, რომ მტერი დაემარცხებინა, მისი თავმოყვარეობა დაემცირებინა და მით დაენახვებია მაყურებელ საზოგადოებისათვის, თუ რამდენად მაღლა იდგა თვისი ბუნებრივი თუ ცხოვრებაში შეძენილი თვისებებით.

რუდინებთან სჯა-ბაასი და კამათი ყოვლად შეუძლებელია, რადგანაც ყოველივე წინააღმდეგ აზრს ისინი მოთმინებიდან გამოჰყავს, წინააღმდეგობას ისინი ღებულობენ შეურაცხყოფად და ყოველი ბაასი მათთან თავდება ხშირად ლანძღვა-გინებით. იმათი დაჯერება, დარწმუნება რომელიმე ჭეშმარიტებაში ძნელია, თითქმის შეუძლებელიც, რადგან უარყოფა თავისი აზრისა და მიღება მოწინააღმდეგე პირის დებულებისა, მათს თვალში, მათივე პიროვნების დამცირებას ნიშნავს.

ასეთი იყო რუდინი მაშინაც, როდესაც მან გიმნაზიის მასწავლებლის თანამდებობა მიიღო.

ძნელი წარმოსადგენია ის, თუ რანაირი აღტაცებით ისმენდნენ მოსწავლეები მის გაკვეთილებს. მართალია რუდინის ნათქვამში ბევრი არაფერი გაეგებოდათ, მაგრამ მისი მუსიკალური ენა ყველას ჰხიბლავდა. რუდინიც არ ცდილობდა გასაგებინიც აეხსნა გაკვეთილები, ის კითხულობდა ლექციებს და დიდად კმაყოფილი იყო თავისი თავის, როცა ჰხედავდა, რომ მოსწავლენი მას აქებდნენ და ადიდებდნენ. მისი მიზანიც სწორედ ეს იყო. როდესაც მას მთავრობასთან უსიამოვნება მოუვიდა და მის თავმოყვარეობას შეეხენ, მას ერთ წუთსაც არ უფიქრია მოსწავლეებზე და მაშინვე მიანება სამსახურს თავი. ასეთი ტიპები დღეს ბევრია ჩვენს ცხოვრებაში — ისინი უმეტესად ეწევიან შრომის ისეთ კატეგორიებს, რომლის საშუალებით დღეს უფრო შეიძლება დიდებისა და ცნობის მოპოვება.

მათს წარმოშობაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩვენს სკოლასაც, რომელიც ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულა ძველი სქოლასტიური სკოლების ფუჭი სისტემისაგან.

მართლაც, რა ადამიანი უნდა გამოვიდეს იმ პიროვნებისაგან, რომელიც მხოლოდ კარგი ნიშნებისთვის სწავლობდა, რომლისთვისაც მეცნიერები მიზანი კი არა, საშუალება იყო ტოლ-ამხანაგებში და ნაცნობებში თავის გამოსაჩენად. შეიძლება, ასეთი საშუალებით სკოლამ კიდევაც აღორძინა მასში აქტიური ყურადღება, შრომის უნარი, მაგრამ ეს ენერგია ეს აქტიური ყურადღება არ არის ბოლოს და ბოლოს იმ მაღალი ზნეობრივი იდეალით გაშუქებული, რომელიც შეადგენს ნამდვილ ადამიანის ნამდვილ მაღალ ღირსებას, რომელიც შეიქმნს ხასიათის სიმტკიცეს და ადამიანის სულის სიწმინდეს. მხოლოდ უზნეობა, სრული უპრინციპობაა შედეგი ასეთი პედაგოგიური საშუალებისა. ამის დამამტკიცებელია თვით ის სკოლა, სადაც ასეთ საშუალებათ მაგრად ჰქონდა ფეხი მოდგმული. ისეთი ზნედაცემული ხალხი, როგორიც იყო იეზუიტები და რომელმაც შექმნა, მაგალითად, თეორია, „მიზანი ამართლებს საშუალებასო", ძნელად თუ რომელიმე ეპოქაში შეგხვდება. ამიტომაცაა, რომ დღეს სიტყვა „იეზუიტი" ლანძღვა დაცინვას ნიშნავს.

ასეთია ზნეობრივი შედეგები იმ მოტივებისა, რომლებითაც დღეს ჩვენი სკოლა სარგებლობს აქტიური ყურადღების განვითარებლად. მე მსურს კიდევ მივაქციო მკითხველის ყურადღება ჩვენი აღზრდის სისტემის ერთს თვისებას, რომელიც პირდა-პირ შეეხება, ერთი მხრით, აქტიურ ყურადღებას და, მეორე მხრით კი, ადამიანის ზნეობრივ პიროვნებას. როგორც ზევითა ვსთქვით, მხოლოდ ის იქნება ზნეობრივი, რომელიც უკვირდება თავისსა და სხვის ყოფაქცევას. ამ თვალით თუ შევხედავთ თანამედროვე აღზრდის სისტემას მაშინ ხომ უფრო საზარელი და უნუგეშო სურათი წარმოგვიდგება თვალწინ. შეძლების დაგვარად ყველა მშობელი ცდილობს მოსწავლე შვილი ყოველმხრით უზრუნველჰყოს, რომ მას არავითარი საფიქრალი არ ჰქონდეს გარდა გაკვეთილების მომზადებისა. ანგრევს თუ არა მოსწავლე მის სამოსწავლო ოთახში სხვა და სხვა ნივთს, მოსამსახურე ან სხვა ვინმე ოჯახში, ვალდებულია მიალაგოს ყველაფერი და თავის რიგზე დააწყოს. უფუჭდება თუ არა მას უდროოდ რომელიმე სამოსწავლო ნივთი, მშობლები ზნეობრივ ვალდებულად სთვლიან თავის-თავს დაუყოვნებლივ შეუძინონ გაუფრთხილებლობის გამო წამხდარი ნივთი, რომ მათ მეცადინეობის მიმდინარეობა არ შეფერხდეს. ასეთ პირობებში აღზრდილი ბავშვები ადვილი გასაცნობია თვით სკოლაში, ისინი ჰყრიან იატაკზე ცარცს და ლესვენ მას ფეხით, ამტვრევენ მოურიდებლად ფანჯრებს, სჯღაბნიან კედლებს, აფუჭებენ პარტებს და სხვა. მათ აზრადაც არ მოსდით, თუ რას სჩადიან.

არ მოსდით მიტომ, რომ მათი ყურადღება არასოდეს ასეთ ცუდ საქციელზე არ მიუპყრიათ. ასეთ პირობებში აღზრდილი მოსწავლე ძნელია რომ ზნეობრივი და მტკიცე ხასიათის ადამიანი დარჩეს.

(შემდეგი იქნება)

**ი. ლიბანელი.**

...ქოს ბულგარეთის მთავრობას დაეწყოს პირველად სამხედრო მოქმედება. ბულგარეთის სამხედრო მთავრობა აშკარად ხედავდა სიბრძნეობის და სერბიის სამხრ ჰხედვის და ამიტომ გადაწყვიტა თვისი ჯარის რაზმები, რათა მათ უკეთესად მოსალოდნელი თავდასხმა. სამხედრო მოქმედება გარემოებაში დაიწყო: 10 ივნისს ესკიფიში სერბიის და საბერძნეთის გენერალურ შტაბების უფროსების თათბირი მოხდა, რომელსაც უნდა მოეგვარებინა ბულგარეთთან ომის საქმეები...

**სოფია.** ბულგარელების სამხედრო ტრანსპორტი მოვიდა: ორი პოლკოვნიკი, ორი მაიორი, 11 უნტერ-აფიცერი და 912 ჯარის კაცი.

**ბუქარესტი.** მემკვიდრე სეფეწული მომქმედ ჯარის მთავარ-სარდლად დაინიშნა მეფემ ამნისტია, გა-

...მოუცხადა იმ გაქცეულ ჯარის კაცებს, რომელნიც ისევ დაბრუნდებიან ჯარში.

**სოფია.** სახალხო კრებაში ლაპარაკი მიდის ბანკების წინააღმდეგ...

**ბელგრადი.** ...

**ათენი.** სამხედრო მინისტრმა გენერალურ შტაბის უფროსს ბრძანება მისცა...

**ბელგრადი** „პრეს ბიურო“ იტყობინება, რომ ბულგარელებს ძლიერი რაზმი სერბიელების ტერიტორიაზე ...

...ლებს დიდი ზარალი მოუვიდათ, სერბიელების ზარალი მცირეა.

# ღეპეშები
(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).
**25 ივნისი.**
**უცხოეთი.**

**მიტელენი.** ...

**ლონდონი.** ...

**გააზნა.** ...

**ტოკიო.** ...

**ტოკიო.** ნაციონალისტების კრებაზე უფლებათა დოქტორმა ეგიიძ უსაყვედურა მთავრობას კონსტიტუციის წინააღმდეგობა და გააფრთხილა, რომ რუსეთი ემზადება იაპონიისათვის სამაგიეროს გადახდისათვისაო.

# რუსეთი.

**პეტერბურგი.** ...

**რიაზანი.** ...

**პეტერბურგი.** ...

**რიგა.** ...

**პეტერბურგი.** ...

...კიდა ხარაიძეს, რომელიც ტაძრის შეკეთებისათვის იყო გაკეთებული. ცეცხლის მქრობელთა ყველა ნაწილი მოვიდა საჩქაროდ, რის გამოც ცეცხლი ჩქარა ჩააქვრეს. ცეცხლის ჩაქრობა ძნელდებოდა იმითი, რომ

# წერილი რედ. მიმართ

**ანგარიში.**

| | | |
|---|---|---|
| შემოსავალი. | მან. | კ. |
| ... | 250 | 70 |
| ... | 347 | 18 |
| ... | 885 | 90 |
| სულ | 1483 | 78 |
| **დახარჯა.** | | |
| ... | 40 | — |
| ... | 20 | — |
| ... | 119 | 25 |
| ... | 20 | — |
| ... | 40 | 50 |
| ... | 15 | — |
| ... | 42 | 53 |
| სულ | 297 | 53 |

...დ. გრუზინსკის, მისს თანაშემწე მანდილოსნებს, ახალი კლუბის მამასახლისთა საბჭოს ბალის მუქთად დათმობისათვის და ყოველნაირად ხელის შეწყობისათვის, ყველა შემო-

# შემოწირულება

...ათი მაური. იასონ ფილიპიამ ორი აბაზი და №№ სამი შაური.

**ერმინე ხ. კობახიძე.**

---

**რედაქტორ-გამომცემელი**
**ა. ჭუმბაძე.**

---



# მასწავლებელი ს. ა. გრიაზნოვი

ამზადებს გიმნაზიისა, კომერციულისა და სამიწისმზომელო სასწავლებლ., საოსტატო ინსტიტუტისა და აფთიაქის შეგირდად, განმეორებითი გამოცდისათვის. მსურველთ მიიღებს სრულ პანსიონზე.

**ვერა**, იზმაილოვის მიხახვევი, ბელინსკის ქუჩიდან სახლი 6, ბინა 8. 325

# იყიდება
სახლი მე-9 უბანში, ბანკის ვალი აქვს 1000 მანეთამდე. შეიცავს 5 ოთახს, 75 ოთხკუთხი საჟენი. დასამატებელია 900 მან. პადგორნაია ქუჩა, № 11, რკინის გზის ლიანდაგის იქით. სამოვოლნი ქუჩის მახლობლად. პირობები შეიძლება გაიგოთ: კიროჩნი ქუჩაზე № 9 დალაქ მენთეშოვთან. 387

# ექიმი ა. ნ. ღიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. სალამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

# მატარებელთა მიმოსვლა
(ზაფხულობით)
18 აპრილიდან
(დრო ღნიშნულია ტფილისის საათით).
**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ:** № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 12, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** სად. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადმზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

**ბათომისაკენ:** № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **საჩქარო** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

**ბორჯომისაკენ:** № 17, **სახ.** დილ. 8 ს. 4 წ. (15 მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

**ცხეთაში:** № 65, **საგარაკო** დილ. 8 ს. 46 წ., № 67, **საგ.** ნაშუადღ. 2 ს. 43 წ.

ეს მატარებლები ივლიან პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე კვირა-უქმე დღეობით. მატარებელი № 67, უქმის წინა დღეებშიაც. ტფილისში უკანვე დაბრუნდებიან № 65 შუადღ. 12 ს. 5 წ. და № 67 საღ. 8 ს. 28 წ.

**ჯულფისკენ:** **საფ.** № 4;3, შუადღ. 12 ს. 51 წ.

**ყარსისკენ:** **სახ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

**ერევანისკენ:** № 24;23, **საბარგ.-სამგზ.** სად, 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

**ტფილისში მოდის:**

**ბაქოდან:** № 3, **საფ.** დილის 9 ს. 1 წ., № 11, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, ნაშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **აჩქარ.** —პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, სად. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

**ბათომიდან:** № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **საჩქ.** შუადღ. 2 ს 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** საღ. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევ.** ღამ. 2 ს. 12 წ.




Метцль 148544. 1123



კარიზის სულმთლიანი ★ ახალი ფასონები
**კორსეტებისა**
ვენის საკორსეტო ქარხნის სახელოსნო
**გ. ა. ლეზინი**
ტფილისი, ვერის ხიდი და სოლოლაკის კუთხე. 1168.

# ექიმი ბილისა ნინო რცხილაძე
იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს., ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახ მაქარაშვილისა.

# ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.**
**დილით:**
„606“ და „914“
11—12 ს. შეშხაპუნება
**კონსულტატიურად.**

**გ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. ავასაროვი:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

**ქ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **თ. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.

**საღამოთი:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **გ. ა. ნავასარდიანი.** 1004

# უფასო საექიმო დახმარება
**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

| უბნები | |
|---|---|
| 1—2 | **ვ. ა. გედავლინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592). |
| 3—4 | **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619). |
| 5—6 | **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680). |
| 7 | **ზ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 715). |
| 8—9 | **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715). |
| 10, 11—12 | **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71. |

# ქალაქის საავადმყოფოები
**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.
**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.
**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.
**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.




1343. Метцль 239592.

# ოქროს საათი ხრონომეტრი 56 პრობისა.



200 მან. ღირებულ ოქროს საათის მაგიერ მხოლოდ **4 მ. 70 კ** მოგაწოდებთ საათს **ხრონომეტრს**, რომელიც ფასონით და სიკოხტავით არ ჩამოუვარდება ოქროსას, რადგანაც საუკეთესო სპეციალისტიც ძლივს გაარჩევს მას ოქროს საათიდან. ძალიან თხელი საათია, სისქით ვერცხლის მანეთიანს უდრის.



ნამდვილ ამერიკულ ახალ ოქროსაგან. თავის დღეში არ ჰკარგავს პირვანდელ სახეს. მორთულია როგორც სურათი (იხილე სურათი). საათი **ხრონომეტრისა** ქალის თუ კაცისა განირჩევა თავის სისწორით, ნამდვილი ანკერი 15 თვალით. მოირთვება 40 საათში ერთხელ. ფირმის გავრცელების გულისათვის თითო საათს ვუნიშნავთ პრემიას უფასოდ 20 კარგ-ფასიან ნივთს: 1) საათის **ჯაჭვი** ნამდვილი ამერიკ. ოქროსაგან; 2) ბრელოკი-კინემატოგრაფი, რომელიც საინტერესო ქალებს აჩვენებს; 3) ზამშის საათის ბუდე; 4) ქურდებისაგან დასაცავი საათისა; 5—8) **ჯიბის** ტყავისაგან გაკეთებული ნესესერი 4 უსაჭირო ნივთებით; 9) ტყავის საფულე, საზღვარ-გარედ გაკეთებული 7 განყოფილებით; 10) შტემპელი, შემკვეთელის სახელით, მამის სახელით; 11) ბეჭდის მელანი ! ჭიქა; 12) ბეჭედი, სახელით და გვარით, საბეჭდავ და გამოსადეგი ნამდვილი ამერიკულ ოქროსაგან. **დუბლე** 13 პარიზული პლასტოგრაფი, რომელიც ისე აჩვენებს როგორც სინამდვილეში არსებობს; 14—19) ექვსი საინტერესო სურათი ამისათვის; 20) სათვალე რო დურბინდი, 4 ახრომატიული შუშით, ჩვეულებრივ სიდიდისა ახლოს აჩვენებს ძალიან შორს მდებარეობას. სულ მხოლოდ **4 მ. 70 კ**, 2 საათი **9 მ. 30 კ.** ასეთივე კრუთ მომუშავე **5 მ. 70 კ**, 2 საათი 11 მ. 20 კ. 6 წლის პირობით. ვაგზავნით ფასდადებით და უბეოდაც. გამოგზავნა 40 კ. ც მზირში 75 კ.

მისამართი Складу часовъ Т—во „Аккуратность“. Варшава. отд. 94.

Метль 38225. 1363

---

✦ **გამოსულია და იყიდება** ✦

# ნ. შიუკაშვილის
პიესა „მეგობრობა“, დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

# მუდამ დღე მოგვდის
თევზის მრეწველნი
# ძმ.
# ძმებელოვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
**ტელეფონი № 712.**

**ახალ-ახალი**
**მტკვრისა თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი.**
**ახალი მსხვილ-მარცვლოვანი**
**ხიზილალა** |ქიტკა|
აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მარტის ღოში, იანი, შიპა, ზურგიელები**, სხვა ყოველ-ნაირი **თევზეულობა** და
**კონსერვები.**

# მიტროფანე ლაღიძის და ამხ.



ფრიად სასიამოვნო ლობიისათვის მარვეში და სურნელოვანი
**სამკურნალო**
სასმელი და ჯანმრთელი ბელი სამური გემო
**ხილეული**
და **მინერალური**
# წყალი
მზადდება საუკეთესო ხილეულის წვნისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად განწმენდილ მასალებისაგან, გამოხდილ და ნადუღი წყალით
**გამოცდილ სპეციალისტის ხელმძღვანელობით.**

რადგანაც ჩვენი ქარხნის წყალის ნაცვლად ხშირად **დაბალ ღირსების წყალს აწვდიან** პატივცემულ საზოგადოებას და აგრეთვე გავრცელებულია ჩვენი ეტიკეტის მიმსგავსებანია უმორჩილესად ვთხოვთ პატივცემულ საზოგადოებას, **ყურადღება მიაქციოს ბოთლებზე ჩვენს ეტიკეტს ქარხნის ნიშნით და აგრეთვე თავსაცობს ზედ-წარწერით:**
„М. ЛАГИДЗЕ“.

**ქარხნები:** **ტფილისში, გოლოვ. პროსპ., № 6, ტელეფონი № 411;**
**ქუთაისში, პუშკინის ქუჩა, № 5, ტელეფონი № 151.** 1214

**გამოსულია და იყიდება**
# ი. გედევანიშვილის პიესა
„გ ა მ ც ე მ ი“
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

# ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება
**დრამატიული თხზულებანი:**

| | |
|---|---|
| ადამიანის ცხოვრება. თარგმანი. ფასი 50 კ. | მეგობრობა. დრ. 4 მოქმ. „ 30 „ |
| ბედმა მიდამ ატა. კომ. 3 მოქმ. „ 20 „ | მეზობლები, დრ. 4 მოქმ. „ 4 „ |
| ბრძოლა არსებობისათვის. დრამ პოემა. „ 60 „ | მოლიერი, დრ. თხუზ. „ 50 „ |
| გაყრა, გ. ერისთავისა. „ 5 „ | მარო. დრამ. ნაწყვ „ 3 „ |
| გამცემი. დრ. 3 მოქმ. გედევ „ 25 „ | მიჯაჭვული პრომეთე, ედიპე მეფე, მედია. „ 50 „ |
| გაღატაკებული ოჯახი, დრ. 3 მოქ „ 10 „ | მაკბეტი, ნათ. ი. მაჩაბლ. „ 40 „ |
| დარბეული. დრ 4 მოქმ „ 30 „ | ნაძირალნი. გორკისა. „ 25 „ |
| დრამ. თხუზულებანი დ. ერისთავ. „ 1 მ. | ნატვრის თვალი. „ 40 „ |
| დალი. დრ. 3 მოქმ. „ 20 „ | ორი პიესა, ტრ. რაიშკილ შეშლილნი და კრიტიკოსთან. „ 25 „ |
| დრამები და კომ. „სორაპ.“ გამოც. „ 1 მ. | ორი პიესა, ცხოვრება ბრძოლაა, დრონი მეფობენ. „ 50 „ |
| ვაი ჭკუისაგან, გრიბოედ. „ 35 „ | ორი ჯიბგირი. ნათ. აბაშ. „ 40 „ |
| ილიას დღე ჭიათურაში „ 20 „ | პანთეონი ქართ. თეატრისა: 1) იჭვიანა, 2) ბნელ ოთახში, 3) ახირებულია. „ 30 „ |
| კენჭის ყრა. სცენ. 4 მოქმ. „ 50 „ | |
| მამა-შვილნი, ანუ გაუბ. 3 მოქმ. „ 15 „ | |
| მტარვლის ბედი. დრ. „ 10 „ | |

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1217



ტფილისი მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“.